



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 22

14/01/2019

ქალაქი ბათუმი

22-05-4-201901141633



მზევინარ გათენაძეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 5 სამუშაო დღის მიცემისა და ინდირა აბულაძეზე - III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტზე განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მზევინარ გათენაძის 2019 წლის 11 იანვრის №44-05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. მზევინარ გათენაძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსს, მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 05 სამუშაო დღის ოდენობით, 2019 წლის 14 იანვრიდან 18 იანვრის ჩათვლით.

2. ინდირა აბულაძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს, დაეკისროს განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შესრულება, ამავე თანამდებობაზე მომუშავე მზევინარ გათენაძის ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2019 წლის 14 იანვრიდან 18 იანვრის ჩათვლით.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს საშვებულებო თანხის (ავანსის სახით) ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

